




ამათ თუ ჩემგან პატივისცემა აკლიათ, აღარ ყოფილა საზველი!

ნ. ლ. ლაშვილი

№ 19 (1389) ოქტომბერი 1972

სიქსუა

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კპ.



— მსაჯ ახლა ნამუსი?! რაც მთელი ჩემი მსოფრების მან-
ქილზე მოვიპარე, ერთ საათში წაუღიანე ქარღვებს!

საქართველო

...მშველასწარი უკვე გვიანი იყო... არც მიცდია გაქცევა. ან კი როგორ გავიქცეოდი, როცა ისინი, თხუთმეტი, ჩემს ირგვლივ იდგნენ და ხელებგამოწვილინი მიახლოვდებოდნენ...

— შემობრალეთ, ახალგაზრდა კაცი ვარ, ახლა შევქმენი ოჯახი, შვილის პატრონი ვარ! — ვემუდარებოდი ხან ერთს, ხან მეორეს...

ჩემს ხვეწნას ირონიული სიცილით უბასუხეს.

— თავს წუ იკატუნებ, ვიცით, ვინცა ხარ! — შემომესივნენ ერთბაშად.

რალას ვიზამდი? წინააღმდეგობის გაწევა ზედმეტი იყო... ერთი ამოვიხსენე-
შე, ჭიბეში ხელი ჩავიყავი და თითოეულს ათ-ათი, ხოლო ახალშექმენილი გოგოს მახარობელს ოცდახუთმანეთიანი ვაჩუქე.

ვანო ცინცაძე

ერთი უნივერსალის ერთ-ერთი სექციის, რომელსაც ამჟვენივლი მსხვილი ასოებით დაწერილი პლაკატი — „ვიბრძოლოთ სანიმუშო წესრიგისათვის!“ — უცბად ერთი აყალმაყალი და ჩონჩქოლი შეიქმნა... თანაგოლების წრეში ჩამდგარი ერთი ცისფერთვალა, კონტა ქალიშვილი ცრემლად იღვრებოდა და, დროდადრო, გულამოსკვნით მოთქვამდა, როგორ გამიბედა, როგორ გამიბედაო...

ქალიშვილს ფორმის ხალათი ეცვა და, ეგყობოდა, იმ სექციის თანამშრომელი იყო.

ყველა დაინტერესდით: ერთმა „დეტექტივმა“ ამყავდა ასწია თავი და, დამცინავი გონით ავტორიტეტულად განაცხადა:

— საწყობს ფრანგული ჯემბრები მიუღია, საწყობის გამგეს პირდაპირ საწყობიდან „გაუშვია გაყიდვაში“ და ამ ქალიშვილისთვისაც აუღლეგია ზედმეტი თხუთმეტი მანეთი. ჰოდა, ახლა გირის...

„დეტექტივმა“ სიგარეტი ამოიღო, თითებში დასრისა და დაუმატა: „ჰმ, ვითომ ვინა მყავს, რომ ვერ გაებედათ? მაგისთანებს უბედავენ?!“

მერე სიგარეტს მოუკიდა, გააბოლა და წავიდა... ვინ საწყობის გამგეს ჰკიცხავდა:

— ვერ უყურებ მაგ შავ ლაქას? კაცს მაინც ჰგავდეს? რამდენჯერ ჩაუწერეს ოქმში, რამდენჯერ გაჯორეს, საწყობი მაღაზიად წუ გადააქციე, მაგას ცუდი სუნი უდისო, მაგრამ მაინც არ მოიშალა!

ამ სიგყვებს ქალიშვილის კოლეგა ამბობდა. ვინ ცისფერთვალას უბედა ნიშნს: ეგრე მოგონებო! (ამას რამდენიმე ქალიც იმეორებდა).

ვინ ქილიკობდა: იმისი მამა ვაცხონე, მარგო ჩვენ ხომ არ უნდა გავცაცუროსო!

ვინ ემუქრებოდა საწყობის გამგეს: ჰაი, დედასა! რა მადლია იმის ზურგზე ერთი კაი სახრე?! ვინ ქალიშვილს ამშვიდებდა კიდეც: შეუნდე, შვილო ჩემო, რამეთუ არ იცის, რასა იქმს! (ეს შავანაფორიანი მღვდლის ხმა იყო, იგი შიგ ყურში ჩაპბზუოდა აქვეთინებულ ქალიშვილს).

მაგრამ, უცბად, გამოჩნდა დირექტორი და ყველა გაირინდა. დირექტორმა ნაგიფი თავაზიანობით ვერ ხალხს მიმართა, დიდალეთო, მერე აღმაცერად გადახედა ცისფერთვალას, ეს რა ცირკი გაგიმართავსო, უსაყვედურა და დაუცაცხანა: მოიწმინდე ცინილი და შენ საქმეს მიხედო.

ყველას გვეგონა, რომ ის ქალიშვილი წელში გასწორდებოდა, შეიშრობდა ცრემლს, რომელსაც დირექტორმა ცინილი უწოდა, და საწყობის გამგის პირშავობას ფარდას ანდიდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდი! ქალიშვილმა პირში წყალი ჩაიგუბა, ლამაზი თავი უწნო და დახარა და ხმადაბლა წაიჩურჩულა, ბოდიშო.

დირექტორმა თავისი როლი შესრულებულად ჩათვალა და კაბინეტისკენ გასწია...

ის კი წავიდა, მაგრამ ლაქად დარჩა ამბავი, რომელმაც აქ ცისფერთვალა ქალიშვილი ააქვითინა. იქ, გარეთ, კი ალბათ, ჯემბრის მოყვარული ბევრი ქალიშვილი...

ხალხი დაიშალა.

„თუ თანამშრომლები და დირექტორი არ დაამყარებენ სტაბილურ წესრიგს თავიანთ მუშაობაში, მაშ, ვინ უნდა დაამყაროს? ვინ?“ — ეს ფიქრი ენაგა ყოველ მათგანს სახეზე.


მე კი, რატომღაც, იმავე მაღაზიის თანამშრომლის სიგყვები გამახსენდა: ვერ უყურებ მაგ შავ ლაქას, კაცს მაინც ჰგავდეს?! რამდენჯერ ჩაუწერეს ოქმში, რამდენჯერ გაჯორეს, საწყობი მაღაზიად წუ გადააქციე, მაგას ცუდი სუნი უდისო, მაგრამ მაინც არ მოიშალა...

გარეთ რომ გამოვედი, უკვე იწურებოდა წარმატებებითა და წარუმატებლობით დაგვირისგებული კიდევ ერთი დღე და ძველი ქალაქი, რომელსაც ერთმა უცხო მხაგვარმა ცოცხალი ფრესკა უწოდა, ნელ-ნელა ეძლეოდა ძილს. დიან, ეს ცოცხალი ფრესკა უკვე თვლემდა და ძილ-ბურანში ბუბუნებდა: ეჰ, რამდენი ოქმიც იწერება, ზოგი მათგანი რომ ფარაგინა ქაღალდი არ იყოს, ვისაც გაჯორავენ, ისევე გასაჯორი რომ არ იყოს, ამ ჭაღარა წვერს ზოგი უგვანო და უგვარო რომ არ მირცხვენდეს, ჩემი ბედის ვარსკვლავს ბადალი არ ეყოლებოდაო!

არჩილ დაპითიანი



— მთელი ლაქი ვუთხე ავადმყოფს და კლინს გამოვპოლიჯე 10 მანეთი!



— რა ღირს ეს კოსტუმი?
— შენ თუ ინტრიგანი არა ხარ, ფასს რატომ კითხულობ?!

„აფერისტი“ — ტელეფონით

საინფორმაციო

ინფორმაციური
ბიბლიოთეკა

მიხეილ ბირამიძე ნამდვილი აფერისტი! ყური დამიდებდა და, თვითონ დაარქვით, რა სახელაც გასურთ: აფერისტი, ყალბობანი, თუქსუსი... ერთი სიტყვით, შეარჩიეთ ამ სიტყვიდან, რომელიც გნებავთ!

— აი, მის ბონაშეა ახალგაზრდა კაცი შალვა დონდუაშვილი.

— რა პქენი, იყავი? — ეკითხება მიხეილი.
— ნეტა, არ წავსუსტდები?
— რაო, რა გითხრა?
— არ გვაქვს თავისუფალი ადგილით. მე კი ნამდვილად ვიცი, რომ ორი თვეა, გათავისუფლდა ინსპექტორის ადგილი, მაგრამ, როგორც გადმოწყეს, დირექტორს უნდა, ვინმე თავისიანი დანიშნოს.

— მაშ, ასლა მე მიყურე! — თქვა გაბრაზებულმა მიხეილ ბირამიძემ და ტელეფონის მილი აიღო.

— ალო! თხოვეთ სამმართველოს უფროსს!..

— გისმენთ, ბატონო!

— მე რაიკომიდან გელაპარაკებით — მიხეილ ბირამიძე!.. რამდენადაც ვიცი, თქვენთან გათავისუფლდა ინსპექტორის ადგილი!

— კი, კი... დიას, ამხანაგო მიხეილ, გათავისუფლდა. ვეძებთ კანდიდატურას!

— თქვენს შესახებ, ამხანაგო, სმებს აფრცვლებენ, ითქვამს...

— ჭორია, ბატონო! არ დააჯეროთ! ვილაცამ მომიგონა, თითქოს მე კერძო ბიზნეს მიყვები ორი ტონა პირუტყვის კომბინირებული საკვები...

— საკვებზე სხვა დროს ვილაპარაკოთ! ასლა კი ამბობენ, თითქოს, ინსპექტორად ნიშნავთ ნათესავს, ამიტომაც ადგილი თავისუფალი.

— ესეც ტყუილია, ბატონო!

— თუ ტყუილია, რატომ არ მიიღეთ სამუშაოზე, ამ დილით რომ ახალგაზრდა კაცი მოვიდა?! ის რინებული ვაქცაცია, პატიოსანი, მრავალშვილიანი...

— სვალ დილით მოვიდეს, ბატონო, და გაგაფორმებთ!

მიხეილმა მილი დაჰკიდა და შალვა დონდუაშვილს მიუბრუნდა: სვალ მიდი, გაგაფორმებო, უთხრა.

შალვამ დიდი მადლობა გადაუხადა კითხვად ადამიანს და წავიდა.

მეორე დილით იგი უკვე დანიშნული იყო ინსპექტორის თანამდებობაზე.

მიხეილ ბირამიძეს ეწვია შორეული ნაცნობი და შესჩივლა:

— ბინა, საგაა, თავზე ჩამოიწერე; სასურავიდან წყალი ჭამოდი, აივანი ისეა გადაკიდებული მეორე სართულიდან, რომ ქუჩაში ხალხს აფრთხობს.

— მეტი, ვერ მიმართე საბინაო სამმართველოს? — ჰკითხა მიხეილმა.

— შესამე თეა, განცხადება შეტანილი მაქვს, მაგრამ პასუხიც კი არ მალდრეს.

— მაშ, ასლა მე მიყურე! — თქვა ბრაზიანად მიხეილ ბირამიძემ და ტელეფონის მილს ხელი მოჰკიდა.

— ალო! თხოვეთ საბინაო სამმართველოს უფროსს!

— უფროსი ობიექტებზეა წასული, ბატონო! — უპასუხა მიხეილს ქალის ხმა.

— დაუძახეთ ტელეფონთან! მე რედაქციიდან გლაპარაკობ!

— თუ ვერა, კი, ბატონო, ასლავე მილს გადავცემ!

— გისმენთ! — მოესმა მიხეილს უკვე კაცის ხმა.

— ა, გამარჯობათ! რედაქციიდან საუბარი ყოველთვის სასიამოვნოა. რით შემოძლია გეშასხუროთ?

— მოზინდრენი გიჩივან, ამხანაგო... შესამე თეა, განცხადება შემოტანილი აქვს ბაგრატი კიკე-

თაშვილს. ბინა, ლამის, თავზე ჩამოიწერეს. რას უცდილი?!

— ჩემთვის ჯერ განცხადება არ გადმოუციათ, პატივცემულო!

— მით უარესი თქვენთვის!.. ასლა ბეჭერი ლაპარაკი აღარ არის საჭირო! რედაქციამ დამაჯალა ფელეტონის დაწერა, ვფიქრობ, საჭირო აღარ იქნება, თუ თქვენ მოზინდრის თხოვნას დააკმაყოფილებთ!

— სვალ დილით მე თვითონ შევამოწმებ, პატივცემულო, ხელისნებისაც მივიყვან.

საბინაო სამმართველოს უფროსმა უზუსტად შესრულა დაპირება.

იყო ასეთი შემთხვევა: მიხეილი ათვალეირებდა ახალ საცხოვრებელ სახლებს. გახარებული უკვიროდა მშენებელს, რეალობისა და შინაგარეობის. აქ სომ ძველად ქობისები იყო?! როგორ შეკვლილა ყველაფერი?! სადღაა ტალახით საფე ქუჩები?! უცვებ მოილუშა, გაბრაზდა: დანიასა, რომ ამ მშენებელ ნაგებობათა წინ, ქუჩაში, ზოგან ორმოვთა, ზოგან საშენი მასალები ჰყრიან, ზოგან — ქვიშა, ნაგავი...

ეტყვრა ტელეფონის მილს მიხეილი.

— ალო, კომუნალური მეურნეობის განყოფილება?.. თხოვეთ უფროსს!

— გისმენთ!


— რედაქციიდან გელაპარაკებით მიხეილ ბირამიძე!.. კაცო, სახელმწიფოს მილოწონები ეხარჯება ახალი საცხოვრებელი სახლების აგებისათვის, მაგრამ ამ სახლებში რომ შეხვიდე, ვინ იცის, რამდენ თხრილსა და ნაგავს უნდა გადაასტე! რაშეა საქმე?!

— მშენებლობა ახალი დამთავრებულია, ამხანაგო ბირამიძე! — უპასუხებს კომგანის უფროსი, — მოგაგვარებთ მაც საქმესაც.

— როგორ თუ ახალი დამთავრებულია?! უკვე წელიწადია, მოზინდრენი ახალ სახლებში ცხოვრობენ. ერთი წელი ცლტა? თქვენ მშენებელ მასალას იძლევეთ ფელეტონისათვის!



— წინათ, მოგზაობისთვის, ხალხს ტყუს მიპრავდა, ასლა კი გამივირეს საქმი ამ რევიზორებმა!



— მე აფიქრობ, არ დაგჭირდებათ ფელეტონის დაწერა. ორ-სამ დღეში ყველაფერი წესრიგში იქნება!

მიხეილმა ერთი კვირის შემდეგ რომ გაიარა იმ ახალ უბანში, ესამოვნა: კოსტად გამოიყურებოდა ქუჩები, რომლებსაც უფრო ამაყად გადმოსცქეროდნენ რეალობისა და სახლები.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს მიხეილ ბირამიძე? ხან რაიკომიდან ლაპარაკობს ტელეფონით, ხან რედაქციიდან. ვინ მისცა ამის უფლება? თვითონ რას წარმოადგენს? მუშაობს რომელიღაც დაწესებულებაში მონაწილის თანამდებობაზე. ეს არის და ეს!

ერთხელ კომგანის უფროსმა დარეკა რედაქციისა, პატარა სათხოვარი ჰქონდა მიხეილ ბირამიძესთან.

— ალო, თუ შეიძლება, თხოვეთ ფელეტონისტ ამხანაგ მიხეილ ბირამიძეს!

— ასეთი რედაქციაში არავინ მუშაობს! — იყო პასუხი.

კომგანის უფროსი კინაღამ გაგიჟდა.

— უყურე, როგორ მომატყუა იმ უსინდისომ! ერთ კვირამი მთელი თვის სამუშაო შეგვასრულებინა... ..მერე სხვებმაც გაიგეს მისი აფერისტობა.

ასლა კიდევ გვიტოვებით, ამხანაგო მკითხველო, არ არის აფერისტი მიხეილ ბირამიძე? ვინ არის? ტელეფონს რომ ბოროტად იყენებს, რა პქენია ასეთ კაცს?

თუ სადმე რაიმე უწყნარობაა, ეს რა მიხეილ ბირამიძის საქმეა? ერთი უყურეთ, რამდენს ბედავს, როგორ აბამებულებს და აწინებს პ. მგ. მუშაკებს ტელეფონით?!

ამისათვის გამოიგონა ტელეფონი ედისონმა?

ზოგმა
გველარმა
გამაყვირვა

ზოგმა მკვლარმა გამაყვირვა, განმაცვიფრა, გამოაცოცხლა... სიცოცხლეში უქმად იჯდა, და გამდიდრდა, მოკვდა როცა. ჯარასავით დატრიალდა, აღარაფერს არ დაზარდა... იქით პროდუქტები ზიდა, აქეთ შეშა დაამზადა. სიცოცხლეში თევზს ვერ ჰკამდა, გულს უკლავდა. ჰმუნვია, ურვა... მოკვდა კაცი. და ჩემელეთით სახლში დოში მოაჯურა. სულ ახლებში გამოეწყო და გაშალა გრძელი სეფა. „წავაგებ თუ ვიზარალებ?“ — მოიფხანა თავის კეფა. დააბრძანა ორი მოყმე — ერთი ითვლის, ერთი წერს... მე ის კაცი შევარტყვინე, ვინც ეს წესი დააწესა!

ვასტანვ რამიზვილი



ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. ეს არის ცენტრი ჭუჭყისა და სიბინძურის, უყურადღებობისა და უპატრონობის, ტროტუარზე მოსივრნე ღორებისა და ტალახში ამოვანგლული ადამიანების. ქალაქის „ქუჩებს“ ისეთივე იერი შერჩენიათ, როგორც დედამიწას ჰქონდა გამყინვარების პერიოდის შემდეგ. არც ერთი ხელოვნური ნარგავი, არც ერთი ბაღი, ან სკვერი.

სალამოა. მზე წითლად ირეკლება მღვრიე გუბებიდან. ვერ გაიგებ, მზეს რცხვენია, თუ გუბებს. ყოველ შემთხვევაში, არ რცხვენია რაიონის სამშენებლო კანტორის უფროსს — ღენტორას, რომელიც, ცოლთან ერთად, სუფრას აწყობს. ისინი სტუმრებს ელოდებიან და, მათ შორის, ეტყობა, საპატო სტუმარსაც.

— რომ არ მოვიდეს? — შიშობს ცოლი.
— მოვა! ისეთი კაცი მივეუგზავნე, რომ...
— ამშვიდებს ღენტორას.

ღენტორას შვილი, გუგუშა, ეზოში ფიცარს აშალაშინებს.

— ჩაიცვი, ბიჭო, ხირცხვილია, მოვლენ აწი! — აფრთხილებს ღენტორას.

ატლახებულ ქუჩებში, ღენტორას სახლისკენ, ოროფხვებით მოალაჯებენ სტუმრებს.

რაიონის ცენტრში ოაზისივით ამოზრდილა ერთადერთი შერემონტებული სახლი. ამ ადგილზე, ქუჩაში, ასფალტიც აგია, ნარგავებიც ხარობს. აქ რაიადმასკომის თავმჯდომარე ჭიტოლია ცხოვრობს. მხოლოდ მისი სახლისა და მისი ქუჩის შეკეთება-შეღამაზებისათვის უზრუნია ღენტორას. — სამშენებლო კანტორის უფროსი.

რაიადმასკომის თავმჯდომარე ჭიტოლია გამოდის თავისი სახლის სადარბაზო კარიდან. იქვე მთართმევენ საღებავებით აჭრელებულ, ლამაზად გაფორმებულ ოროფხვებს. ჭიტოლია დგება ზედ და სტუმრად მიემგზავრება ახალის თანხლებით.

ღენტორას სახლის წინ პატარა ბიჭები სტუმრების გათხუპნილ ოროფხვებს რეცხავენ გუბის წყლით. ოროფხვები ავტომატურად იხეხიან და ნომრილია.


რაიადმასკომის თავმჯდომარის — ჭიტოლიას გამოჩენას სუფრაზე ზვიმით ხედებიან. ტარდება შეჯიბრება მლიქვნელობაში რაიონის პირველობაზე. პირველ ადგილს, რა თქმა უნდა, ღენტორა ისაკუთრებს. იგი იღებს ჯილდოს: ყოველგვარი თხოვნა უნდა შეუსრულოს რაიადმასკომის თავმჯდომარემ — ჭიტოლიამ. ქეიფიც სწორედ ამ მიზნით მოაწყობს.

სამშენებლო კანტორის უფროსი ღენტორა აცხადებს, რომ მის შვილს, გუგუშას, დღეს 18 წელი შეუსრულდა და სრულყოფილიანი მოქალაქე გახდა. სუფრა ტაშით ეგებება ამ ცნობას. ღენტორა უხმობს თავის შვილს.

ოთახში შემოდის მკვირცხლი, ცოცხალთვალეა ჭაბუკი, ხელში ფიცარი და შალაშინი უჭირავს, სამუშაო ტანისამოსიც არ გამოუცვლია. ღენტორას ელდა ეცემა, ტუქსავს შვილს ამის გამო. გუგუშა კი თავისი ნახელავი ფიცრის თვალიერებითაა გატაცებული. ყურადღებას არ აქცევს სტუმრებს.

ღენტორა თხოვს რაიადმასკომის თავმჯდომარეს — ჭიტოლიას, რომ შვილი სადმე სამუშაოდ მოუწყოს, რომ გუგუშამ კარგად ისწავლა დურგლობა და რაიონის სახელს არ შეარცხვენს.

თანხლები პირი ჭიტოლიას მიართმევს რაიონის საწარმოო დაწესებულებათა სიას. ჭიტოლია საჩვენებელი თითით ჩააყვება სიას და ბრძანებს:



— ჩვენი რაიონის ახალ მოქალაქეს, გუგუშას, ვინმეა მუსიკალური ფაბრიკის დურგალთა ბრიგადირად!

ტაში. სადღვრძელოები.
გვიან დამით, მთვარის შუქზე, გუბე-გუბე მიირწვივან მთვარალი ოროფხვები. მუსიკალური ფაბრიკა. აქ ამჟამად ბიანინოს, დიახ, პიანინოს და არა ბიანინოებს, რადგან 1961-71 წლების მანძილზე მხოლოდ ერთი ბიანინო დაამზადა ფაბრიკამ. ამაზე მეტყველებს დირექტორის კაბინეტის კედელზე გაკრული ზეღმავალი გრაფიკი: „1961 წელთან“ მიხატულია ბიანინოს ფხვები, შემდეგ, მაღლა, „1962 წელთან“ — ბიანინოს სახურავი, „1963“-თან — შავი კლავიშები, „1964“-თან — თეთრი კლავიშები, და ა. შ. 1971 წელთან, გრაფიკის უმაღლეს წერტილს ამშვენებს მთლიანი პიანინოს ნახატი.

მუსიკალური ფაბრიკის მიერ დამზადებული ეს ერთადერთი ბიანინო დგას მუსიკალური სკოლის ერთ-ერთ ოთახში. ბიანინოს მოსწავლეები შემოსხდომიან და მეცადინეობენ — თითო ოქტავაზე თითო მოსწავლე და პედაგოგი მოდის. გარეთ, დერეფანში, რიგი გაუბამთ დანარჩენ მოსწავლეებს. დაკვირის დროს ამ ბიანინოს კლავიშები მაღლა აღარ ამოდის, ამიტომ მუსიკალურ სკოლას შტატში ჰყავს კლავიშების ამომწვევი თანამშრომელი, რომელიც თავზე ადგას ბიანინოს და, როგორც კი ბავშვის თითი მოსცილდება კლავიშს, მაშინვე მაღლა ამოსწევს.

გუგუშა მუშაობას შეუდგა მუსიკალურ ფაბრიკაში. მუშაობს გასათყარი სისწრაფითა და ოსტატობით, აიყოლია მთელი ბრიგადა. მედურგლეთა საამქროში ზედზედ ჩნდება ბიანინოების ჯერ შეუღებავი ბუდე-ჩარჩოები. ამდენი პროდუქცია შესა-

დებად ვგზავნება მეზობელ მღვებავთა ბრიგადას. გამოფხიზლდა, ამოქმედდა აქამდე მთვლემარე ფაბრიკა, მექანიზმივით აბუშავდა თითოეული საამქრო. ყველა განცვიფრებულია.

მუსიკალური ფაბრიკიდან მალაშინში მრავალთა აქვთ ბიანინოების პირველი წყება. მალაშინასთან ჩნდება მყიდველთა რიგი.

რაიადმასკომის თავმჯდომარის — ჭიტოლიას საცხოვრებელ შენობაში მუშებს კიბეებზე ანთაქვთ ბიანინო. ბიანინოს უკან მოსდევს სისხარულით გაბრწყინებული, კუდრაჭა გოგონა.

ბიანინო ოთახში შეიტანეს. გოგონა მიუჯდა ინსტრუმენტს. უკრავს მთელი ხმით.

მეზობელ ოთახში მძინარე ჭიტოლიას გაეღვიძა, გვერდი მოინაცვლა, მაგრამ ბიანინოს ხმა არ ასვენებს. ჯერ, თურმე, სადა ხარ: მთელი სალამო უკრავდა გოგონა. არ დააძინა. ასე განმეორდა მეორე დღეს, მესამე დღეს...

რაიადმასკომის თავმჯდომარემ, ჭიტოლიამ, ბარგი-ბარხანა აიკრა და, მთელი ოჯახით, სხვა სახლში გადავიდა საცხოვრებლად.

ეს საცხოვრებელი სახლი, როგორც სხვა დანარჩენი, ჩაბინძურებული და ჩაოხრებულია.

როგორც კი ჭიტოლიას გადასვლის ამბავი გაიგო, ღენტორამ გამოიყვანა თავისი სამშენებლო კანტორა. ბუღდოზერები და სატექნიკური მანქანები აგუგუნდნენ ჭიტოლიას ახალი საცხოვრებლის წინ. გარემონტდა სახლის ფასადი, ასფალტი დაიგო ქუჩაზე, გაჩნდა პატარა სკვერი...

...მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ჭიტოლიას ისევ წაართვა ძილი და მოსვენება ბიანინოს ხმამ. ახალი საცხოვრებლის ახალი მეზობელი მუსიკის პედაგოგი ყოფილა, უყილია ბიანინო და შინ მოსწავლეები დაუდის.

და კვლავ ახალ, ჩაბინძურებულ და მოუწყობელ ქუჩაზე გადასახლდა რაიადმასკომის თავმჯდომარე ჭიტოლია. კვლავ გადმოისროლა ღენტორამ თავისი სამშენებლო კანტორის მუშები და ეს ქუჩა და სახლიც გაალამაზა-გაამშვენებია.

...ზედიზედ ეცემა ტყეში ნაძვის ხეები, მოდის და მოდის მასალა მუსიკალურ ფაბრიკაში. მულტიპლიკაციური სისწრაფით მუშაობს გუგუშა და მისი ბრიგადა, მუშაობს მთელი ფაბრიკა, უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ბიანინოებით დატვირთული საბარგო მანქანები მაღაზიებისაკენ, ასევე სწრაფად იცლება მაღაზიები და ასევე სწრაფად ჩნდება ბიანინოები სხვადასხვა მშრომელის ბინაში. ქუჩა სავსეა სანოტო ჩანთებიანი ბიჭუნებითა და გოგონებით. ფოსტალიონივით შერბის და გამორბის ერთი სახლიდან მეორეში რაიადმასკომის თავმჯდომარე თავისი ოჯახითა და ბარგი-ბარხანით. მას ჩრდილივით დასდევს ღენტორა თავისი სამშენებლო კანტორის მუშებით, ბუღდოზერებით, ცხელი ასფალტითა და სატექნიკური მანქანებით... და ზედიზედ ლამაზდებიან ქუჩები.

რაიონი წალკოტს დაემსგავსა. სარკვესავით პრიალბენ მოასფალტებული ქუჩები. იღიმებიან შენობები. თითოეული სახლიდან ბიანინოსა და სიმღერის ხმა ისმის. ჭიტოლიას ყურებზე ხელები აუფარებია და გარბის, სტოვებს რაიონის საზღვრებს, რადგან არც ერთი სახლი არ დარჩა უპიანინოდ, ამ რაიონში იგი ვეღარ იცხოვრებს.

სხვა რაიონში?



7
1972

72-72
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრაზულ სახელმწიფოთა ოკუპირებულ მიწებზე არქეოლოგიური გათხრების „პროექტულმა“ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე დაიწმა 700.000 დოლარად ღირებული ისტორიული განძები მიი-თვისა.

გაზეთებიდან

მოზე დაიანი — თავმჯარცვის მინისტრი!



საქართველოს
საბჭოთაო
ბიბლიოთეკა